ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 37 442

03/05/2016

3500 (სამიათასხუთასი) კგ შავი ლითონის (ჯართის) პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ"–ქვეპუნქტის ,,დ.ა"–ქვეპუნქტის, ,,ე"–ქვეპუნქტის ,,ე.ე"–ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფსასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებისა და ,,3500 (სამიათასხუთასი) კგ შავი ლითონის (ჯართის) საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 აპრილის №38 58 განკარგულების მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. 3500 (სამიათასხუთასი) კგ შავი ლითონი (ჯართი) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

1.2. 3500 (სამიათასხუთასი) კგ შავი ლითონის (ჯართის) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.3. 3500 (სამიათასხუთასი) კგ შავი ლითონის (ჯართის) საპრივატიზებო საწყის ფასად განისაზღვროს 525 (ხუთასოცდახუთი) ლარი.

1.4. 3500 (სამიათასხუთასი) კგ შავი ლითონის (ჯართის) ბიჯი განისაზღვროს მისი საპრივატიზებო საწყის ფასის 10%–ს ოდენობით.

1.5. ელექტრონულ აუქციონზე 3500 (სამიათასხუთასი) კგ შავი ლითონის (ჯართის) საგარანტიო თანხა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 20%–ს ოდენობით.

1.6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი